# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ლითოპონის ქარხანაში ტარდება დიდი მუშაობა ძველი საამქროების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, ახლების ასაშენებლად. მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგება ლაქსაღებავების, ბარიტის და სხვა საამქროები.

სურათზე: მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა, რომელიც შრომის მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა მშენებლობაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ბრიგადირი მ. კალიუჟნი, მჭრელი ნ. ქილინი, შემდუღებელი ნ. ხმილკინი და მემონტაჟე ვ. ცინცაძე.

ფურცელი 1

საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფიკის გასწრებით შრომობს ქუთაისის ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი. ციალა გოგიბერაშვილი საქსოვი საამქროს ერთერთი საუკეთესო მუშაა. იგი საწარმოში მოვიდა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, კარგად დაეუფლა მქსოველის პროფესიას და ახლა ცვლის ნორმებს 110—115 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მქსოველი ც. გოგიბერაშვილი.

საქტესის ფოტოქრონიკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

„ტყიბულქვანახშირის" ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 1963 წლის საწარმოო პროგრამა. დავალების გადამეტებით მოპოვებულია ათასობით ტონა ქვანახშირი. მაღალმწარმოებლურად მუშაობს მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ვარდოსანიძე მეთაურობს.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მნგრეველები გ. კოდუა, კ. სარდანაძე, ბრიგადირი ა. ვარდოსანიძე და დ. უფლისაშვილი.



საქდესის ფოტოქრონიკა



სოხუმის მეთევზეობის არტელის წევრებმა შარშან სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს 4 ათას ცენტნერზე მეტი თევზი. ახლა კოლმეურნეები ემზადებიან საგაზაფხულო თევზაობისათვის.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მეთევზეები მ. კაკაჩია, ნ. მიმინოშვილი და ხ. ლაპარტყავა არემონტებენ ბადეებს.

ფურცელი 4

საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამ სურათზეა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საღნობი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მეაპარატე გ. ჭიპაშვილი. ეს ბრიგადა ყოველ ცვლაში დავალების ზევით იძლევა 1,5—2 ტონა ფეროშენადნობს და ამავე დროს ზოგავს ელექტროენერგიას.



საქდესის ფოტოქრონიკა




გალის საწარმოო სამმართველოს აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ჩაის ბუჩქების შემოსხვლა და მწკრივთაშორისების კულტივაცია ფოსფორულ და კალიუმის სასუქების ერთდროული შეტანით.

სურათზე: სასუქების შეტანა და ბუჩქების შემოსხვლა აჩიგვარის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში.



ზესტაფონის ლაბორატორიის ქიმიკოსი ნ. მერაბიშვილი ატარებს ნიადაგის ანალიზს



ტელემექანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ნ. კალაშნიშვილი (მარჯვნივ), ინჟინრები ი. ბალანჩივაძე და ბ. კაკანაძე ატარებენ თბილისის გაზის მეურნეობის საკონტროლო მოწყობილობის გამოცდას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზესტაფონის აგროქიმიური ლაბორატორიის მუშაკები აზუსტებენ კარტოგრამებს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტელემექანიკის, ავტომატიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში შექმნილია სპეციალური აპარატურა თბილისის გაზის მეურნეობის ტელემექანიზაციისათვის.

ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს აგროქიმიურ ლაბორატორიის კოლექტივმა დაამთავრა რაიონის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ნიადაგთა კარტოგრამების შედგენა.

სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩვენს ქვეყანაში პირველი საფრინველე-ავტომატი წიწილების გასასუქებლად. იგი შექმნილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.



საფრინველე-ავტომატის როტორული დანადგარები



მეფრინველე ა. კოზაევა მართვის ავტომატურ პულტთან

ორ პატარა დარბაზში დადგმულია ოც-ოცი როტორული დანადგარი. ეს არის მრგვალი ხუთიარუსიანი გალიები. თვითეულ მათგანში 45 დღით ათავსებენ 800 ფრთა ფრინველს. „ხუთსართულიანი სახლი" თავისი მცხოვრებლებით ნელნელა ბრუნავს. ამ დროს ფრინველი იღებს საკვებს ბაგებიდან. ერთი ფრინველის ნამატი არსებულ გალიებში კვებასთან შედარებით იზრდება 100-120 გრამით.





ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ნოჯიხევის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს მექანიზატორთა სამჭედლოს უწოდებენ. 120 ახალგაზრდა კოლმეურნე დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან აქ ეუფლება სახარატო და საზეინკლო საქმეს, სწავლობს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა მექანიზატორები დაიწყებენ მუშაობას თავიანთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სურათებზე. ოსტატი ჯ. ტყებუჩავა ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას ტრაქტორის შესასწავლად. მარჯვნივ—მომავალი მექანიზატორი ნ. ჟიბლიანი სვანეთიდან.

ფურცელი 10

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის აგროქიმიური ლაბორატორია მომსახურებას უწევს საწარმოო სამმართველოს 60 კოლმეურნეობასა და 12 საბჭოთა მეურნეობას. ნიადაგმცოდნეები, აგროქიმიკოსები, მიწათმომწყობები და ლაბორანტები პრაქტიკულად ეხმარებიან სოფლის მეურნეობის მშრომელებს, აძლევენ რჩევა-დარიგებას მინერალური სასუქების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე.

სურათზე. ზუგდიდის აგროქიმიურ ლაბორატორიაში.

ფურცელი 11

საქდესის ფოტოქრონიკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს სოფელ მაღლაკის კულტურის სახლთან მუშაობს პოლიტიკური განათლების კაბინეტი საზოგადოებრივ საწყისებზე. აქ ტარდება ლექციები, თეორიული კონფერენციები, კონსულტაციები კოლმეურნეობათა აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის. კაბინეტს ხელმძღვანელობს პედაგოგი თინათინ შარვაშიძე.

სურათზე: თინათინ შარვაშიძე (მეორე მარცხნივ) ატარებს საუბარს სოფლის აგიტატორებთან.

ფურცელი 12

საქდესის ფოტოქრონიკა

გალის სანარმოო სამმართველოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „მზიური“ რესპუბლიკის ერთერთი ყველაზე ახალგაზრდა მეურნეობაა. მას დათმობილი აქვს 812 ჰექტარი ნას-ვენი მიწა. რამდენიმე წლის შემდეგ მეურნეობა „მზიური“ მოგვცემს ციტრუსოვანთა ისეთ მოსავალს, რასაც ახლა იძლევა აფხაზეთი მთლიანად.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის „მზიურის“ ინჟინერ-მექანიკოსი შ. შონია (მარჯვნივ) დავალებას აძლევს ტრაქტორისტებს, რომლებიც მუშაობენ ფერდობების ტერასირებაზე.





ფურცელი 13

საქტესის ფოტოქრონიკა




აბგარხუკის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გუდაუთის რაიონი) სამი ათას ტომზე მეტი წიგნი ითვლება. ბიბლიოთეკის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები. მათ მიაქვთ წიგნები კოლმეურნეებთან უკანასკნელთა დაკვეთით.

სურათზე: აბგარხუკის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ფ. ოთირბა წიგნის დამტარებელ მოსწავლეებთან ერთად არჩევს ლიტერატურას კოლმეურნეებისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ ქსუისის კოლმეურნეობის მეცხოველეები იბრძვიან წველადობის გადიდებისათვის. წელს ისინი გვპირდებიან თვითეულ საფურაქე ძროხას მოწველონ 100 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან.

სურათზე: სოფელ ქსუისის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები მ. დუდაევა, ე. ბესტაევა და ა. ალბოროვა.



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკე გ. რუხაძემ შექმნა გუდაუთის რაიონის სოფელ ალახაძის არტელის წარჩინებული მესიმინდის, აფხაზეთის რევოლუციური მოძრაობის მონაწილის 70 წლის კოლმეურნის დავით რუსიას სკულპტურული პორტრეტი. დ. რუსიას სახელი კარგადაა ცნობილი ავტონომიურ რესპუბლიკაში. იგი ყოველ წელს მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარ ფართობზე 80—100 ცენტნერ სიმინდს იღებს.

სურათზე: მოქანდაკე გ. რუხაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ხასია დ. რუსიასთან ერთად მაღალი მოსავლის ოსტატის სკულპტურულ პორტრეტთან.

ფურცელი 16

საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილია ტრაქტორ „ბელარუსის" სამთო მოდიფიკაცია. ექსპერიმენტული ნიმუში წარმატებით გამოცადეს მიწის ხვნის, ორმოების ამოთხრისა და ბალახების მოთიბვის დროს სამთო მიწათმოქმედების პირობებში 20—22 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

სურათზე: სამთო მიწათმოქმედების შასისა და მანქანების კონსტრუირების განყოფილების უფროსი კ. ძაგანია (ცენტრში), განყოფილების უფროსის მოადგილე ა. მელაშვილი (მარცხნივ) და ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. ჭყონია მსჯელობენ გამოცდის შედეგებზე.



საქდესის ფოტოქრონიკა



ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი მოამზადა საქართველოს ჩაის საწარმოთათვის ზუგდიდის ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიის ტექნიკუმმა.

სურათზე: პედაგოგი ლ. შენგელია ატარებს მეცადინეობას მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობაზე ჩაის კულტურის მოსავლიანობის ამაღლების საქმეში.



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით გამოიყენეს ლიმონის ხეების ხელოვნური გათბობა გაზის სანთურებით, რომლებიც დადგმული იყო მწკრივთაშორისებში. სიცივეების დაწყებისას აქ განმანაწილებელი პუნქტიდან აწოდებდენ გაზს და სანთურების ცისფერი ცეცხლი ქმნიდა ხეების გარშემო თბილი ჰაერის მასებს, რაც იცავდა სათუთ ლიმონებს გაყინვისაგან.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის ინჟინერი-მექანიკოსი ვ. ზავგოროდნევი (მარჯვნივ) და ზეინკალი ნ. პოლიაკოვი არეგულირებენ გაზის მიწოდებას სანთურებში.

ფურცელი 19

საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა ახალი მოტორიზებული სასხური. იგი გამოიყენება ციტრუსოვანთა კულტურების დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლისათვის როგორც ბარში, ისე ფერდობებზე. სასხურის გამოყენება შეიძლება აგრეთვე ხეხილის ბაღებში და ვიწრო მწკრივთაშორისიან ვენახებში. სასხურის მწარმოებლობაა 2—2,5 ჰექტარი ცვლაში.

სურათზე: ჯგუფის ხელმძღვანელი პ. კობიაშვილი და უფროსი ტექნიკოსი მ. დავითაშვილი ამოწმებენ ახალი მოტორიზებული სასხურის პირველი ნიმუშის მუშაობას.



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ბიოფიზიკური ლაბორატორიის თანამშრომლებმა შექმნეს ვაშლის მავნებლებთან საბრძოლველად ელექტრომახეები, რომლებიც დაიდგმება ხეხილის ბაღებში. ელექტრომახეებში მწერებს იზიდავს სინათლე და ისინი, ხვდებიან რა ლითონის ბადეს, იხოცებიან ელექტრული დამუხტვით.

სურათზე: მეცნიერი მუშაკები გ. სახაროვი და კ. გიგინეიშვილი ამზადებენ ელექტრობადეებს სამინდვრო გამოცდისათვის.



ამ სურათზე აღბეჭდილი სამი ქალიშვილი: მაყვალა ნინიძე, ნათელა ტყეშელაშვილი და მერი გოგოფიშვილი—მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ ნატანების ლენინის სახელობის არტელის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებია. ახალგაზრდა კოლმეურნეები არა მარტო კარგად ცეკვავენ, არამედ კარგადაც შრომობენ ჩაის პლანტაციებში



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი წლების მანძილზე ორ-სამჯერ გაიზარდა წველადობა საჩხერის საწარმოო სამმართველოს სოფელ ღიჩის კოლმეურნეობაში. ენერგიულად შრომობს ახალგაზრდა მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ ხარაიშვილი.

სურათზე: ე. ხარაიშვილი.




გამოფენაზე, რომელიც გახსნილი იყო სოხუმში საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების საგამოფენო დარბაზში, ექსპონირებული იყო ფერმწერთა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა სამასამდე ნამუშევარი.

სურათზე: აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე.



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ერევნის მუსიკალური კომედიის თეატრში შედგა კომპოზიტორ შ. ჯოჯუას კომედიის „ორი დის“ მეასე წარმოდგენა. საიუბილეო სპექტაკლი დადგა თბილისის მუსიკალური კომედიის რეჟისორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. გამრეკელმა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ბერიაშვილმა.

სურათზე: რეჟისორი ბ. გამრეკელი და არტისტი მ. ბერიაშვილი ერევნის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობთა შორის.

ფურცელი 25

საქდესის ფოტოქრონიკა